საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030145431814720

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6099 **09 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო
მდივანს ბატონ ბექა დოჭვირს

ბატონო ბექა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა საქართველოს მთავრობის ელექტრონულ პროგრამაში №16996 წარმოებით ატვირთული: საქართველოს ორგანული კანონის პროექტები: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პროფესიული კავშირების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონების პროექტები: „შრომის ინსპექციის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კომპეტენციის ფარგლებში, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

-

ა) მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტში, შრომის ანაზღაურების კომპონენტების ჩამონათვალს (ძირითადი ხელფასი ან/და სატარიფო განაკვეთი, დანამატი, პრემია და სხვ.) მიზანშეწონილია დაემატოს ტერმინი **„თანამდებობრივი სარგო“**, რადგან ზოგიერთ საბიუჯეტო დაწესებულებაში (მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი) დასაქმებულ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ დებულებები, საშტატო განრიგის შედგენისას დამკვიდრებულია ეს ტერმინი და არა „ხელფასი“.

ბ) მე-14 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ხოლო შემდგომ–მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. გამომდინარე იქიდან, რომ 91/533/EEC დირექტივა - შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან დასაქმებასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ დამსაქმებლის

მიერ დასაქმებულთა ინფორმირების ვალდებულების შესახებ-ითვალისწინებს დასაქმებულის ინფორმირების საშუალებებთან ერთად ასევე ინფორმირების ვადებსაც, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობების მონაცემების ცვლილების შემთხვევაშიც, შესაბამისად მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ რა ვადაში უნდა ეცნობოს დასაქმებულს ზემოაღნიშნულ დოკუმენტში შეტანილი ცვლილების შესახებ.

გ) მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ შეუძლებელია დასაქმებულის გადაყვანა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს არარსებობის გამო, მას უწყდება შრომითი ხელშეკრულება ამ კანონით დადგენილი წესით. 47-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს გათავისუფლების საფუძვლებს, არ მოიცავს ჩანაწერს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლების შესახებ.

დ) 24–ე მუხლის მე–11 ნაწილში მითითებულია, რომ „სამუშაო დროის აღრიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ (შემდგომ–მინისტრი), სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შედეგად.“.

მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ (შემდგომ–მინისტრი).“.

ე) 27–ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება **ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით**. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით არანაკლებ **შრომის ანაზღაურების** ნორმირებული საათობრივი განაკვეთის 125 პროცენტისა. გამომდინარე იქიდან, რომ შრომის ანაზღაურება მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის მიხედვით თავის თავში მოიცავს ხელფასსაც, ბუნდოვანია 125%, საიდან ითვლება ხელფასიდან თუ შრომის ანაზღაურებიდან.

ვ) 37-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს, რომ „ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ბავშვის მოვლის გამო შვებულება, **პირველ პუნქტში მითითებული ორსულობის და მშობიარობის შვებულების გამოყენებული დღეების გამოკლებით**, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენოს ბავშვის დედამ ან მამამ.“ აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და იკითხება იმგვარად, რომ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებისთვის განკუთვნილი 126 (143) კალენდარული დღე უნდა გამოაკლდეს ბავშვის მოვლის გამო შვებულებისთვის განკუთვნილ 604 (587) კალენდარულ დღეს. მიზანშეწონილია, შეიცვალოს ჩანაწერის ფორმულირება და დაზუსტდეს მიზანი.

გარდა ამისა, ამ მუხლის მე-4 პუნქტი წინააღმდეგობაში მოდის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება დასაქმებული მამის უფლებას, ისარგებლოს ბავშვის მოვლის გამო შვებულებით. ასევე საყურადღებოა ის მომენტიც, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებად და ბავშვის მოვლის გამო შვებულებად დაყოფის შემთხვევებს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროებს დამატებით დაზუსტებას.

ზ) დასაზუსტებელია 49-ე მუხლის მე-5 ნაწილის ჩანაწერი: „5. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთა გაერთიანებისადმი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში-დასაქმებულთა წარმომადგენლებისადმი) **ამ პუნქტში** მითითებული ინფორმაციის შესახებ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების ასლი გაუგზავნოს მინისტრს“. სავარაუდოდ იგულისხმება ამავე მუხლის მე-4 პუნქტი. ამასთან, აქ არ იკითხება, რომ კონსულტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებაც უნდა გაეგზავნოს მინისტრს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა მოემზადოს და მიიღოს შესაბამისი ზომები ამ პირების შემდგომი დასაქმების ხელშეწყობისთვის.

თ) წარმოდგენილი პროექტის ტექსტში ტერმინი „შრომითი პირობები“ მიზანშეწონილია ჩასწორდეს არსებული ტერმინით „შრომის პირობები“.

ი) წარმოდგენილ პროექტში არ არის ასახული საქართველოს 2020 წლის 17 მარტის ორგანული კანონით (№5774) განხორციელებული ცვლილებები.

2. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ -

არსებულ რედაქციაში 39–ე მუხლის მე–2 ნაწილში მითითებულია, რომ საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია გადასცეს "ო) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

და მის სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოებს–საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით." ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სახით საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის საჭიროება ცალკე შრომის ინსპექციის სამსახურისთვის არ არის.

3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - წარმოდგენილი პროექტის თანახმად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 77-ე მუხლით განისაზღვრა, რომ მოხელეზე ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 49-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს მასობრივ დათხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე და 105-ე მუხლები აწესრიგებენ მოხელეთა მობილობისა და რეზერვში ჩარიცხვის საკითხებს, რომლის მართვაზეც ამავე კანონის მიხედვით პასუხისმგებელია საჯარო სამსახურის ბიურო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 49-ე მუხლი სრულად ვერ გავრცელდება მოხელეებზე.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია